

## სატერმინალო მომსახურების სტანდარტული პირობები

### („სტანდარტული პირობები“)

მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს განსაკუთრებულ პირობებს რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობასა და ასევე მომხმარებლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, რათა მოხდეს ტერმინალის ოპერატორის საქმიანობის შესაბამისი ფორმით უზრუნველყოფა გარკვეულ შემთხვევებში და 5, 6 და 10 მუხლებში მითითებული პირობების მოქმედებისას.

#### 1. განსაზღვრებები და გამარტებები

1.1. მოცემულ სტანდარტულ პირობებში, თუკი კონტექსტი სხვას არ ითვალისწინებს, სიტყვები და გამოთქმები განიმარტება შემდეგნაირად:

„აგენტი“ - განიმარტება ისე როგორც ეს მითითებულია პირობების 8.1. პუნქტში;

„ტვირთი“ - ნიშნავს ნებისმიერი სახის, ზომის/წონის და სხვ. საქონელს, რომელიც გადაიტანება ან დაგეგმილია რომ გადატანილი იქნას კონტეინერით ან არა გაბარიტული კონტეინერით და მოიცავს ნებისმიერ არაკონტეინიზირებულ საქონელს, რომელიც დატვირთულია საკონტეინერო გემზე.

„მოსაკრებელი“ - განიმარტება ისე როგორც ეს მითითებულია პირობების 9.1. პუნქტში;

„კონფიდენციალური ინფორმაცია“ - ნიშნავს სტანდარტული პირობების დათქმებს და ყველა ინფორმაციას ნებისმიერ სახით ან ფორმით, რომელიც წარმოადგენს საიდუმლოს ან სხვაგვარად არ არის საჯარო (მთლიანად ან რომელიმე მისი შემადგენელი ნაწილი), რომელიც მოიცავს კომერციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ ან ტექნიკურ ინფორმაციას, ნოუ-ჰაუს, სავაჭრო საიდუმლოებას, ბიზნეს მეთოდებს და სხვა ინფორმაციას ნებისმიერი სახით ან ფორმით, რომელიც გამხელილია ზეპირად ან წერილობით, აღნიშნული ინფორმაციის ან მისი რომელიმე ნაწილის ნემისმიერი სახით ან ფორმით არსებული ასლების ჩათვლით;

„კონტეინერი“ - ნიშნავს ISO სტანდარტის 20', 40', 45' სიგრძით, 8'- სიგანით და 8'6"/9'6" სიმაღლის ნებისმიერ სავსე, ნახევრად დატვირთულ ან ცარიელ კონტეინერს, რომელიც მოიცავს მშრალ, ფლეთ-რექ, ღია თავიან, ხელოვნურ „გემბანთშორის“, საპალეტე, საპლათფორმე, სამაცივრე და სარაზერვუარე კონტეინერს, რომელთაც გააჩნიათ ISO სტანდარტის შესაბამისი ამწე მოწყობილობები და შეესაბამება CSC (კონვენცია კონტეინერების უსაფრთხოების შესახებ) მოთხოვნებს და რომლებიც შეიძლება დამუშავდეს საკონტეინერო სპრედერის მეშვეობით;

„საკონტეინერო გემი“ - ნიშნავს გემს, რომელიც მორგებულია კონტეინერების, არაგაბარიტული კონტეინერებისა და/ან არაკონტეინიზირებული ტვირთის

გადასატანად გემბანზე ან გემბანს ქვემოთ, კონტეინერების უსაფრთხოდ განთავსების მიზნით სამაგრი მოწყობილობების ჩათვლით;

**„საკონტეინერო ტერმინალი“** - ნიშნავს საკონტეინერო ტერმინალის ინფრასტრუქტურას „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალში“ (ბსსტ);

**„ზედამხედველობა“** ნიშნავს:

(ა) კონტეინერების (დატვირთული ან ცარიელი) ან არაკონტეინიზირებული ტვირთის იმპორტირებისას: (i) პერიოდს რომელიც იწყება კონტეინერის ან არაკონტეინიზირებული ტვირთის, საკონტეინერო გემის გემბანიდან, ტრიუმიდან ან საკონტეინერო გემზე სხვა კონტეინერის ზედაპირიდან ფიზიკურად აწევის მომენტიდან და სრულდება კონტეინერის ან არაკონტეინიზირებული ტვირთის ტერმინალის ოპერატორის მიერ ტვირთის დასამუშავებელი მოწყობილობის მეშვეობით გამწევ სატვირთო მანქანაზე დამაგრებისას, ტვირთის მიმდებთან გაგზავნის მიზნით, ან (ii) პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელი პასუხისმგებელია კონოსამენტით ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტით გათვალისწინებულ ტვირთზე;

(ბ) კონტეინერების (დატვირთული ან ცარიელი) ან არაკონტეინიზირებული ტვირთის ექსპორტირებისას - პერიოდს, რომელიც იწყება კონტეინერის ან არაკონტეინიზირებული ტვირთის, სატვირთო მანქანიდან ტერმინალის ოპერატორის მიერ ტვირთის დასამუშავებელი მოწყობილობის მეშვეობით აწევის მომენტიდან საკონტეინერო ტერმინალის საკონტეინერო ეზოში დასაწყობების მიზნით და სრულდება, როცა კონტეინერი ან არაკონტეინიზირებული ტვირთი დალაგდება საკონტეინერო გემის გემბანზე, ტრიუმში ან საკონტეინერო გემზე განთავსებულ სხვა კონტეინერზე;

(გ) კონტეინერების (დატვირთული ან ცარიელი) ან არაკონტეინიზირებული ტვირთის გადატვირთვისას - პერიოდს, რომელიც იწყება კონტეინერის ან არაკონტეინიზირებული ტვირთის, ერთი საკონტეინერო გემის გემბანიდან, ტრიუმიდან ან საკონტეინერო გემზე სხვა კონტეინერის ზედაპირიდან ფიზიკური აწევის მომენტიდან და სრულდება, როცა კონტეინერი ან არაკონტეინიზირებული ტვირთი დალაგდება მეორე საკონტეინერო გემის გემბანზე, ტრიუმში ან საკონტეინერო გემზე განთავსებულ სხვა კონტეინერზე;

**„ჯანმრთელობისა და დაცვისა და უსაფრთხოების წესები“** ნიშნავს ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების წესებს, რომელთა შესახებ მომხმარებელს პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია ტერმინალის ოპერატორის მიერ;

**„ვალდებულებები“** ნიშნავს, ნებიმერ და ყველა გადასახადს (რომელიც მოიცავს მოკვლევასა და საჩივრის დაცვის ხარჯებს), ნებისმიერი სახის ხარჯებს, საჩივრებს, მოთხოვნებს, ზარალს, ზიანს, პასუხისმგებლობებს, ბრძანებებს, ჯილდოს, ჯარიმას, საურავს, სასამართლო გადაწყვეილებას და აქტებს;

„არაკონტეინიზირებული ტვირთი“ - ნიშნავს ტვირთს რომელიც არ არის მოთავსებული კონტეინერში, რომელიც დასაშვებია საკონტეინერო გემით გადასატანად/ტრანსპორტირებისათვის, რომელიც ვერ დამუშავდება კონტეინერის სპრედერის ნორმალური მოხმარებით, სპეციალური სამაგრების გამოყენების მიუხედავად;

„არაგაბარიტული კონტეინერი“ - ნიშნავს კონტეინერს, სადაც ტვირთი სცდება კონტეინერის სტანდარტულ ზომებს და რომელიც უნდა დამუშავდეს საკონტეინერო სპრედერზე სპეციალური სამარჯვების მეშვეობით;

„საპორტო აქტი“ ნიშნავს ნავსადგურის წესებს (რომელიც მიღებულია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ)

„სკუ“ ნიშნავს სპეციალურ კრედიტის მიღების უფლებას, როგორც განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ;

„სერვისები“ ნიშნავს ნებისმიერ მომსახურებას, რომელიც გაწეული ან ორგანიზებულია ტერმინალის ოპერატორის მიერ, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კონტეინერებისა და ტვირთის დამუშავებას;

„ტარიფი“ ნიშნავს ტერმინალის ოპერატორის მოსაკრებლებს, რომელიც ოფიციალურადაა დაწესებული ბსსტ-ს მიერ

„ტერმინალის ოპერატორი“ - არის შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“;

„ტეუ“ ნიშნავს ოც ფუტის შესაბამის ერთეულს და „ტეუ“-თ გამოთვლის მიხედვით 20' კონტეინერი უდრის ერთ (1) „ტეუ“-ს და 40' და 45' კონტეინერი შესაბამისად უდრის ორ (2) „ტეუ“-ს; და

„მომხმარებელი“ - არის (i) ნებისმიერი პირი, რომელიც იღებს ან სარგებლობს მომსახურებით, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მფლობელს, მეფრახტის (ნებისმიერი სახის) ჩათვლით ან ნებისმიერი სხვა პირს, რომელიც დაინტერესებულია ან შესაძლოა დაინტერესდეს საკონტეინერო ტერმინალში საკონტეინერო გემის შემოსვლით, საკონტეინერო გემის კაპიტანს და ნებისმიერ პირს, რომელიც აკონტროლებს ასეთი საკონტეინერო გემის ოპერირებას, მფლობელს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც დაინტერესებულია ან შესაძლოა დაინტერესდეს ტვირთით; (ii) მფლობელს, ან ნებისმიერი სხვა პირს, რომელიც დაინტერესებულია ან შესაძლოა დაინტერესდეს კონტეინერებით, ან ნებისმიერი ნაწარმით, მანქანა-დანადგარებით, ფუთებით, ყუთებით, სტელაჟებით; (iii) მფლობელს, ან ნებისმიერ პირს, რომელიც დაინტერესებულია ან შესაძლოა დაინტერესდეს საკონტეინერო ტერმინალში საავტომობილო გზითა და რკინიგზით შემომავალი სატრანსპორტო საშუალებებით; და (iv) ნებისმიერ პირს, რომელიც მართავს ასეთ სატრანსპორტო საშუალებას და ნებისმიერი პირს, რომელიც იყენებს და/ან შემოდის საკონტეინერო ტერმინალში.

## 1.2. პორტის წესები

თუ პორტის წესები იმპერატიულად მოქმედებს ნებიერი მომსახურების მიმართ, აღნიშნული სტანდარტული პირობები ასეთ მომსახურებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს პორტის წესებს და არ შეიძლება განიმარტოს, როგორც ტერმინალის ოპერატორის რომელიმე უფლების ან უზრუნველყოფის დათმობად ან პროტის წესების მიხედვით პასუხისმგებლობებისა და უფლებების ზრდად. თუკი აღნიშნული სტანდარტული პირობების რომელიმე ნაწილი რაიმე სახით ეწინააღმდეგება პორტის წესებს, მითითებული ნაწილი გაწეულ მომსახურებასთან მიმართებაში ჩაითვლება ბათილად.

## **2. სერვისები**

2.1. ტერმინალის ოპერატორი:

- 2.1.1. გაწევს მომსახურებას აღნიშნული სტანდარტული პირობების დაცვითა და მის შესაბამისად;
- 2.1.2. გაწევს მომსახურებას სათანადო ცოდნისა და უნარჩვევების გამოყენებით;
- 2.1.3. დაიცავს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა კანონსა და რეგულაციებს;
- 2.1.4. მოიპოვებს საჭირო ლიცენზიებს და ნებართვებს, რათა იმუშაოს როგორც ტერმინალის ოპერატორმა და გაწიოს სათანადო მომსახურება.

2.2. მომხმარებლის მიერ გაცემული და ტერმინალის ოპერატორის მიერ მიღებული განსაკუთრებული წერილობითი მითითების გათვალისწინებით, ტერმინალის ოპერატორი სრულიად თავისუფალია მომსახურების გაწევისას საჭირო საშუალებებისა და პროცედურების გამოყენებაში. ტერმინალის ოპერატორს შეუძლია გადაუხვიოს მომხმარებლის ინტრუქციებს (მიუხედავად იმისა შეთანხმებულია თუ არა ტერმინალის ოპერატორის მიერ) ნებისმიერ საკითხში, თუკი ტერმინალის ოპერატორი თვლის ამას საჭიროდ მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე და თავის მხრივ მომხმარებელმა უნდა აუნაზღაუროს ტერმინალის ოპერატორს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა ხარჯი.

2.3. საკონტეინერო ტერმინალი მუშაობს ოცდაოთხი (24) საათი ყოველ დღე მთელი წლის განმავლობაში.

## **3. სტანდარტული პირობების მოცულობა და გამოყენება**

3.1. აღნიშნული სტანდარტული პირობები ეხება:

- 3.1.1. მომხმარებლისათვის გაწეულ ყველა მომსახურებას;
- 3.1.2. მომხმარებლის მიერ საკონტეინერო ტერმინალის და/ან ტერმინალის ინფრასტრუქტურის გამოყენებას საკონტეინერო ტერმინალში;
- 3.1.3. ყველა საკონტეინერო გემს, რომელიც დგება საკონტეინერო ტერმინალში;

და სავალდებულოა ყველა მომხმარებლისათვის, რომლებიც იღებს ან სარგებლობს მომსახურებით, იყენებს და/ან შედის საკონტეინერო ტერმინალში.

## **4. ნავმისადგომთან დადგომის მოთხოვნა**

- 4.1. ნავმისადგომის წვდომა უზრუნველყოფილი იქნება შემოსვლის რიგითობის მიხედვით, საკონტეინერო ტერმინალის მიერ ნავმისადგომთან განლაგების სხვა მომხმარებელთან შეთანხმების გათვალისწინებით.
- 4.2. მომხმარებელი ვალდებულია ტერმინალის ოპერატორს გაუგზავნოს ნავმისადგომთან დაყენების შესახებ შეტყობინება მინიმუმ 7 დღით ადრე საკონტეინერო გემის სავარაუდო შემოსვლის თარიღამდე და ამის შემდეგ უწყვეტად მოახდინოს შეტყობინებების გაგზავნა გემის სავარაუდო შემოსვლამდე 36, 24 და 12 საათის დაზუსტებით.
- 4.3. თუკი საკონტეინერო გემი საკონტეინერო ტერმინალში შემოდის დათქმულ დროზე 2 საათით დაგვიანებით, ტერმინალის ოპერატორი იყენებს ყველა ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს ნავმისადგომის მზაობა გემის მისაღებად რაც შეიძლება სწრაფად.
- 4.4. თითოეულ საკონტეინერო გემთან დაკავშირებით, მომხმარებელი ვალდებულია ტერმინალის ოპერატორს მიაწოდოს ყველა საჭირო დეტალური ინფორმაცია კონტეინერების, არაგაბარითული კონტეინერების და/ან არაკონტეინერიზებული ტვირთის შესახებ, რომელთაც უნდა გაეწიოთ მომსახურება, გემის შემოსვლამდე 24 საათით ადრე (დეტალები უნდა მოიცავდეს ნომერს, სახეობას, წონას და ზომას) მაინც. საკონტეინერო ტერმინალი და მომხმარებელი საკონტეინერო გემის შემოსვლამდე თანხმდებიან ამწის მოძრაობის მაქსიმალურ რაოდენობაზე. შეთანხმებული მაქსიმალური მოძრაობის რაოდენობის შესაბამისად ტერმინალის ოპერატორი გამოუყოფს საკონტეინერო გემს ნავმისადგომთან დგომის ფანჯარას, რომლის განმავლობაშიც გემს გაეწევა მომსახურება (შემდგომში „ნავმისადგომთან დგომის ფანჯარა“). მომხმარებელმა უნდა უზრუნველყოს საკონტეინერო გემის მიერ ნავმისადგომის გათავისუფლება „ნავმისადგომთან დგომის ფანჯრის“ დასრულების შემდეგ.

## **5. მომხმარებლის ვალდებულებები და გარანტიები**

5.1. მომხმარებელი, გემის შემოსვლამდე 72 ადრე უგზავნის ტერმინალის ოპერატორს გემის ჩამოსვლის წინასწარ ანგარიშს და ინფორმაციას ტვირთის შესახებ. მომხმარებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი და ინფორმაცია გემის სავარაუდო ჩამოსვლის დრომდე მინიმუმ 24 საათით ადრე:

5.1.1. საკონტეინერო გემი:

- ა) ტვირთის მანიფესტი;
- ბ) გადმოტვირთვის ფურცელი;
- გ) დატვირთვის ფურცელი;
- დ) დასაწყობების გეგმა;
- დ) სექციის გეგმა; და

ე) მონაცემთა ელექტრონული გაცვლის ფაილი (ელექტრონული ასლი)

5.1.2. საბორნე გემი:

- ა) ტვირთის მანიფესტი;
- ბ) კონოსამენტი (ნაბეჭდი ასლი)
- გ) გადმოტვირთვის ფურცელი; და
- დ) მგზავრთა სია (ელექტრონული ასლი)

5.1.3. სხვა ტიპის გემები:

- ა) ტვირთის მანიფესტი;
- ბ) კონოსამენტი;
- გ) გადმოტვირთვის დავალება (საბაჟოს ბეჭდით დამოწმებული); და  
შეფუთვის ფურცელი (ელექტრონული ასლი).

5.1.4. გარდა ზემოხსენებული ჩამონათვალისა, ტერმინალის ოპერატორი იტოვებს უფლებას მოთხოვოს მომხმარებელს ნებისმიერი სახის დამატებითი დოკუმენტი, რაც შესაძლოა აუცილებელი იყოს გემისათვის სატერმინალო მომსახურების გასაწევად.

5.1.5. სხვა დანარჩენი პროცედურები, საჭირო დოკუმენტები და გემის მოსვლასთან დაკავშირებული სხვა სახის დეტალები განისაზღვრება ბსსტ-ს გემის მომსახურების პროცედურებით, რომელიც დამტკიცებულია ტერმინალის ოპერატორის მიერ.

5.2. საკონტეინერო გემის საკონტეინერო ტერმინალის ნავმისადგომთან დგომისას ნებისმიერ დროს, მომხმარებელმა უნდა უზრუნველყოს რომ:

- 5.2.1. საკონტეინერო გემი აღჭურვილი იყოს სათანადო განათებით და მასზე ასვლა და ჩამოსვლა (ტერმინალის ოპერატორის თანამშრომლებისთვის) უნდა იყოს უსაფრთხო.
- 5.2.2. საკონტეინერო გემი უზრუნველყოფილი იყოს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მუშაკებითა და ეკიპაჟით, რათა მათ უზრუნველყონ საგანგაშო სასიგნალო ზედამხედველობა და სათანადოდ იმოქმედონ ავარიის შემთხვევაში და შესაძლებლობა მისცენ ტერმინალის ოპერატორს გაუწიოს მომსახურება.
- 5.2.3. საკონტეინერო გემში უზრუნველყოფილი იყოს ძრავების მზადყოფნა ავარიის შემთხვევაში დროული რეაგირების მიზნით, რათა არ მოხდეს ნავმისადგომიდან გასვლის შეყოვნება.
- 5.2.4. საკონტეინერო გემის ეკიპაჟის წევრებმა მუდმივად დაიცვან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები; და
- 5.2.5. საკონტეინერო გემმა დაიცვას ყველა სათანადო კანონი და სამართლებრივი მოთხოვნები, რაც უკავშირდება მათ, ტვირთს, კონტეინერს, მათ საქმიანობას და საკონტეინერო ტერმინალით სარგებლობას.

5.3. მომხმარებელი თავად არის პასუხისმგებელი დაიცავს ყველა ფორმალობა, პროცედურა და რეგულაციები, რაც დაწესებულია შესაბამისი საბაჟო სამსაურების და სხვა სახელმწიფო უწყებების ან სააგენტოების მიერ, რომელთაც სამართლებრივი უფლებამოსილება გააჩნიათ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და რომელიც დგება ტვირთთან, კონტეინერთან და/ან საკონტეინერო გემთან დაკავშირებით და ეხება ტვირთის ტრანზიტთან, ექსპორტთან ან იმპორტთან დაკავშირებულ საჭირო ლიცენზიებს და ნებართვებს.

5.4. მომხმარებლის გარანტიები:

5.4.1. მომხმარებელი იძლევა გარანტიას და აცხადებს რომ:

ა) უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულება ტერმინალის ოპერატორთან აღნიშნული სტანდარტული პირობების გათვალისწინებით საკონტეინერო გემთან, ტვირთთან და კონტეინერებთან დაკავშირებით და რომ სტანდარტული პირობები მისაღებია არა მხოლოდ მისთვის, არამედ აგენტისათვის და საკონტეინერო გემის მფლობელის წამომადგენლისათვის (თუკი დაქირავებულია მომხმარებლის მიერ), ტვირთისათვისა და კონტეინერისთვის ან ნებისმიერი პირისათვის, რომელიც დაინტერესებულია ან შესაძლოა დაინტერესდეს ტვირთით.

ბ) მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია და ინფორმაცია ტვირთთან და/ან კონტეინერთან დაკავშირებით სრულყოფილი და სწორია.

5.4.2. ტვირთთან და კონტეინერებთან დაკავშირებით მომხმარებელი იძლევა გარანტიას და აცხადებს რომ ისინი:

ა) არის სწორად და სათანადოდ მომზადებული, შეფუთული, დაწყობილი, ეტიკეტირებული და/ან მარკირებული და რომ მომზადება, შეფუთვა, დაწყობა, ეტიკეტირება და მარკირება სრულად შეესაბამება ტვირთის და კონტეინერის დამუშავებისა და გადატანასთან დაკავშირებულ ოპერაციებს;

ბ) პასუხისმგებელია დამტკვერიანებაზე, გაზის, კვამლის, სითხის ან რადიაციის გაჟონვაზე;

გ) არ არის დასნებოვნებული, პარაზიტებით დაბინძურებული, დამპალი ან სოკოთი დაავადებული და პასუხისმგებელია, რომ საკონტეინერო ტერმინალში ყოფნის პერიოდში ზემოთჩამოთვლილი არ მოხდება.

დ) არ არის გადახურებული ან გადაცივებული და საკონტეინერო ტერმინალში ყოფნის პერიოდში აღნიშნული არ მოხდება.

ე) არ დააბინძურებს ან გამოიწვევს საშიშროებას, არ დააზიანებს ან დაასნებოვნებს ადამიანს, საკონტეინერო ტერმინალს, რომელიმე ტვირთს, დანადგარს ან გემს ან მიმდებარე ან ზოგადად გარემოს;

ვ) შენახვისათვის არ მოითხოვს სპეციალურ დაცვას (გარდა იმ შემთხვევებისა რაც წერილობითაა შეთანხმებული მხარეთა შორის) სიცხისაგან, სიცივისაგან, ნესტის,

მარილისაგან, მიტაცებისა და სხვა ტვირთთან სიახლოვისაგან ან აალებისაგან დასაცავად, არამედ იქნება უსაფრთხოდ საკონტეინერო ტერმინალში ღია გარემოში ან გადახურულ სივრცეში დატოვების შემთხვევაში, თუკი ეს წერილობით შეთანხმებულია ტერმინალის ოპერატორთან.

ზ) არ შეიცავს ნარკოტიკებს, აკრძალულ ან მოპარულ ნივთებს, კონტრაბანდას, პორნოგრაფიულ ან სხვა არალეგალურ მასალებს; და

თ) გამოსადეგია დანიშნულების მიხედვით და იმყოფება სათანადო და კარგ მდგომარეობაში, რათა დამუშავდეს ტერმინალის ოპერატორის მიერ.

## 5.5. უზრუნველყოფა

5.1.1. მომხმარებელმა შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ტერმინალის ოპერატორს ნებისმიერი ვალდებულება/ზიანი რომელიც წარმოიშვა, მიადგა ან მიიღო ტერმინალის ოპერატორმა, მისმა თანამშრომლებმა, მომსახურე პერსონალმა, აგენტებმა, მზღვევლებმა ან გადამზღვეველებმა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევების ან მათთან დაკავშირებული გარემოებების გამო:

(ა) მომხმარებლის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების, დავალებების და/ან აღნიშნულ პირობების მე-5 მუხლში მოცემული გარანტიების დარღვევით;

(ბ) ტერმინალის ოპერატორი მოქმედებდა მომხმარებლის ინსტრუქციების მიხედვით.

## 6. საშიში ტვირთი

6.1. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ტერმინალის ოპერატორი წინასწარ გაცემს წერილობით თანხმობას, ის უარს აცხადებს იმ ტვირთის მიღებაზე, რომელიც არის ან შესაძლოა გახდეს საშიში (მიუხედავდ იმის მითითებულია თუ არა საერთაშორისო კოდექსებსა თუ სახელმძღვანელოებში), აალებადი, საზიანო, სახიფათო (რადიოაქტიური ნივთიერებების ჩათვლით), მავნე ან რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ქონების ან ადამიანის დაზიანება. მაშინ როდესაც ტერმინალის ოპერატორი ნათლად გამოხატავს წერილობით თანხმობას საშიში ხასიათის ტვირთის მიღებაზე:

6.1.1. მომხმარებელმა დროულად უნდა მიაწოდოს ტერმინალის ოპერატორს ისეთი ინფორმაცია, რაც საჭიროა მის მიერ ტვირთთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისათვის, ყველა შესაბამისი კანონების, რეგულაციების და/ან მოთხოვნების შესაბამისად, ტვირთის ხასიათის, შესამაბისი თვისებების და შენახვის, დამუშავებისა და ტრანსპორტირების მეთოდების ჩათვლით; და

6.1.2. კონტეინერი, გარეთა მხრიდან მკაფიოდ უნდა იყოს მარკირებული და მიუთითებდეს აღნიშნული ტვირთის ხასიათსა და თვისებებზე და ის უნდა



შესაბამებოდეს ყველა შესაბამის კანონს, რეგულაციებსა და/ან მოთხოვნებს.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ წამოადგენს აღნიშნულ ინფორმაციას და ტერმინალის ოპერატორი არ არის ინფორმირებული ტვირთის საშიში ხასიათის და საჭირო უსაფრთხოების ზომების მიღების შესახებ და თუ ნებისმიერ დროს აღმოჩნდება, რომ ის საფრთხეს წარმოადგენს სიცოცხლისა და ქონებისათვის, შესაძლოა, გარემოების შესაბამისად მოხდეს მისი განადგურება ან გაუვნებელყოფა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე და მომხმარებელი პასუხისმგებელია ყველა იმ ხარჯის დაფარვაზე რაც წარმოიშობა მომსახურების გაწევის, განდაგურებისა და გაუვნებელყოფისათვის.

6.3. მომხმარებელი პასუხისმგებელია ტერმინალის ოპერატორს აუნაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია პირობების მე-6 მუხლის დარღვევასთან.

## **7. ტერმინალის ოპერატორის უფლებები**

7.1. ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს საკონტეინერო გემი, ავტოტრანსპორტი, ტვირთი, კონტეინერი, დანაგარები ან სხვა ქონება, რომელიც იმყოფება მომხმარებლის საკუთრებასა და კონტროლის ქვეშ, აღნიშნულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

7.2. ტერმინალის ოპერატორი იტოვებს უფლებას შეაჩეროს მომსახურების გაწევა სტანდარტული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

7.3. ტერმინალის ოპერატორს შეუძლია უარი განაცხადოს დაზიანებული ან გატეხილი კონტეინერების ან ყველა იმ კონტეინერის მიღებაზე, რომელიც მისი აზრით არაადაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

7.4. ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს უარი თქვას ყველა იმ კონტეინერისა თუ ტვირთის მიღებაზე, რომელიც ცდება ტვირთის დასამუშავებელი მოწყობილობების დადგენილი წონისა ან უსაფრთო სამოშაო დატვირთვის ნორმებს. თუკი ტერმინალის ოპერატორის კუთვნილი, ტვირთის დასამუშავებელი მოწყობილობა გამოყენებული იქნება ჭარბწონიანი კონტეინერის ან ტვირთის დასამუშავებლად, მომხმარებელი აუნაზღაურებს ტერმინალის ოპერატორს ყველა იმ ხარჯს, რაც შესაძლოა წარმოიშვას ქონების დაზიანების ან გაფუჭების პერსონალის დასახიჩრების ან გარდაცვალების შედეგად, რომელიც გამოწვეული იქნება ზეგანაკვეთური წონის კონტეინერის ან ტვირთის დამუშავებით.

7.5. ტერმინალის ოპერატორს შეუძლია დააყენოს და გამოიყენოს ნებისმიერი მაკონტროლებელი მოწყობილობა, რათა დაიცვას მისი, კლიენტის და მესამე პირის ქონების უსაფრთხოება და დახმარება გაუწიოს გამოძიებას და/ან სამართლებრივ დევნას ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამ სტანდარტული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

## **8. აგენტი**

- 8.1.** მომხმარებელს, ტერმინალის ოპერატორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, შეუძლია დანიშნოს აგენტი მომსახურებებთან დაკავშირებით (ამ პირობებში მოხსენიებული როგორც „აგენტი“), რა შემთხვევაშიც მომხმარებელი უფლებამოსილებას ანიჭებს აგენტს იმოქმედოს მომხმარებლის სახელით ყველა საკითხებთან მიმართებაში, გადასახადების გადახდის ან ტერმინალის ოპერატორისაგან ამ პირობებით გათვალისწინებული თანხის მიღების ჩათვლით, თუკი მომხმარებელი არ აცნობებს ტერმინალის ოპერატორს საწინააღმდეგოს შესახებ და:
- 8.1.1.** ტერმინალის ოპერატორი ამის შემდგომ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს და პერიოდულად იმოქმედოს აგენტის ინსტრუქციის, მოთხოვნის, შეტყობინების ან სხვა სახით განხორციელებული კომუნიკაციის შესაბამისად, მომხმარებელთან წინასწარი დაკავშირების გარეშე და მიიღოს ან გადაუხადოს აგენტს თანხა, რაც გათვალისწინებული იქნება წინამდებარე სტანდარტული პირობებით (ფასადაკლების ჩათვლით).
- 8.1.2.** წინამდებარე სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადასახადი (მოსაკრებელი), რომელსაც ტერმინალის ოპერატორი აგენტს გადაუხდის, აგენტის მიერ ითვლება მიღებულად მომხმარებლისათვის და აგენტის მიერ აღნიშნული გადასახადის მიღება სრულად ათავისუფლებს ტერმინალის ოპერატორის გადახდის პასუხისმგებლობისაგან; და
- 8.1.3.** ტერმინალის ოპერატორისათვის ამ პირობების 8.1.1. პუნქტით მინიჭებული უფლება გრძელდება მანამ სანამ ტერმინალის ოპერატორი მომხმარებლისაგან არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას, რომ შეწყვიტოს აგენტთან პირდაპირი მოქმედება ან შეწყვიტოს აგენტისათვის ან მისი მხრიდან გადახდების გადახდა ან მიღება.

## **9. ტარიფები და ანგარიშსწორება**

- 9.1.** მომსახურების გაწევის გათვალისწინებით, მომხმარებელი იხდის მოსაკრებლებს, რომელიც გამოთვლილია ტარიფების მიხედვით („მოსაკრებლები“). ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ტარიფი მომხმარებლისათვის 30 (ოცდაათი) დღიანი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.
- 9.2.** მომხმარებელი ყველა მოსაკრებელს იხდის მომსახურების გაწევის დაწყებამდე წინასწარ, თუკი სხვა რამ არ არის წერილობით შეთანხმებული.
- 9.3.** გადასახდელი მოსაკრებლები არ ითვალისწინებს დამატებითი ღირებულების გადასახადს და სხვა გადასახდებს, მოსაკრებელს ან საფასურს, რომელიც პერიოდულად წესდება მთავრობისა თუ სხვა ორგანოების მიერ და რომელიც გადახდილი უნდა იქნას მომსახურებლის მიერ კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.
- 9.4.** სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ყველა გადასახადი მომხმარებლის მიერ გადახდილი უნდა იქნას სრულად, ყოველგვარი

ჩათვლის, შემცირების, შეზღუდვის ან პირობის გარეშე და ყოველგვარი საბანკო ხარჯების დაქვითვის ან სხვა ან საპასუხო მოთხოვნის მიზნებისათვის ანგარიშზე დაკავების გარეშე.

9.5. ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს დაარიცხოს 0.1 პროცენტი სარგებელი ყოველდღიურად გადახდის დღისათვის გადაუხდელი თანხის სრულ ოდენობაზე.

9.6. ტერმინალის ოპერატორს ამ სტანდარტული პირობებით მინიჭებული უფლებებისა და საშუალებების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეაჩეროს ტვირთი მთლიანად ან მისი რომელიმე განსაკუთრებული ნაწილი, კონტეინერი ან დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ტერმინალის ოპერატორისათვის ამ სტანდარტული პირობებით გათვალისწინებულ გადასახდელ თანხასთან. ტერმინალის ოპერატორის გირავნობის უფლების გამოყენებისა და დაკმაყოფილების მიზნით, ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს მომხმარებლის ხარჯით გაყიდოს ზემოთხსენებული ტვირთი, კონტეინერი და დოკუმენტები საჯარო აუქციონზე ან კერძო ხელშეკრულებით მომხმარებლისათვის შეტყობინების გარეშე და მომხმარებლის წინაშე ყოველგვარი ვალდებულების გარეშე და მიიღოს შემოსავალი აღნიშნული თანხის გადასახდელად. ტერმინალის ოპერატორი, მისთვის გადასახდელი თანხის დაფარვის შემდეგ დარჩენილი ბალანსის და გაყიდვის ან/და გადაცემის ან/და გარიგების საფასურის მომხმარებელთან ანგარისსწორების შემდეგ თავისუფლდება ტვირთთან, კონტეინერთან ან დოკუმენტებთან დაკავშირებული ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

## **10. პასუხისმგებლობა**

### **10.1. საკონტეინერო გემი**

10.1.1. ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია საკონტეინერო გემის დაზიანებაზე და ზარალზე მისი მექანიზმის და ყველა მოწყობილობის ჩათვლით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს გამოწვეულია ტერმინალის ოპერატორის ან ნებისმიერი მასთან დაკავშირებული მხარის, რომელზეც ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია, დაუდევრობით ან მიზანმიმართული არასათანადო ქმედებით.

10.1.2. ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობა რომელიც გათვალისწინებულია 10.1.1 პუნქტით იზღუდება შემდეგი ორი პირობიდან უფრო ნაკლები ღირებულების მქონე პირობით: (ა) გონივრული სარემონტო ღირებულებით ან საკონტეინერო გემის აღდგენის ღირებულებით (იმავე გამოშვების წლისა და იმავე მდგომარეობის საგნით) და (ბ) \$5,000,000 თითოთოეულ ინციდენტზე ან მასთან დაკავშირებულ რიგ ინციდენტებზე.

### **10.2. კონტეინერები**

10.2.1. ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია კონტეინერის დაზიანებაზე და ზარალზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს გამოწვეულია ტერმინალის ოპერატორის ან ნებისმიერი მასთან დაკავშირებული მხარის,

რომელზეც ტერმინლის ოპერატორი პასუხისმგებელია, დაუდევრობით ან მიზანმიმართული არსათანადო ქმედებით.

**10.2.2.** ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობა რომელიც გათვალისწინებულია 10.2.1 პუნქტით იზღუდება შემდეგი ორი პირობიდან უფრო ნაკლები ღირებულების მქონე პირობით:

(ა) გონივრული სარემონტო ფასით ან კონტეინერის აღდგენის ღირებულებით (იმავე გამოშვების წლისა და იმავე მდგომარეობის საგნით); და

(ბ) \$5000 თითოეულ კონტეინერზე, თუკი კონტეინერი არ არის (i) რეფრეჟერატორი კონტეინერი, რა შემთხვევაშიც შეზღუდვა იქნება \$10 000 თითო რეფრეჟერატორ კონტეინერზე ან (ii) რეზერვუარი კონტეინერი, რა შემთხვევაშიც შეზღუდვა იქნება \$15 000 თითო რეზერვუარ კონტეინერზე.

### **10.3. ტვირთი**

10.3.1. ტერმინალის ოპერატორი (ან ნებისმიერი მხარე რომელზეც პასუხისმგებელია ტერმინალის ოპერატორი) უფლებამოსილია ისარგებლოს პასუხისმგებლობის დაცვით, შეზღუდვით და გამონაკლისით, რაც გათვალისწინებულია მომხმარებლისათვის ტვირთზე გაცემული კონოსამენტი ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობას.

10.3.2. იმ შემთხვევაში, როცა ტვირთზე არ არის გაცემული კონოსამენტი ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტი, როგორც მითითებულია ზემოთ, ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია ტვირთის დაზიანებაზე და ზარალზე თუკი ეს გამოწვეულია ტერმინალის ოპერატორის ან ნებისმიერი მასთან დაკავშირებული მხარის, რომელზეც ტერმინლის ოპერატორი პასუხისმგებელია, დაუდევრობით ან მიზანმიმართული არსათანადო ქმედებით და მსგავსი ზიანი იზღუდება შემდეგი ორი პირობიდან უფრო ნაკლები ღირებულების მქონე პირობით: (ა) გონივრული სარემონტო ფასით ან აღდგენის ღირებულებით (იმავე გამოშვების წლისა და იმავე მდგომარეობის საგნით) და (ბ) \$2SDR-თ დაზიანებული ან დაკარგული ტვირთის ერთ კილოგრამზე (ბრუტო).

### **10.4. დაგვიანება**

10.4.1. ტერმინალის ოპერატორი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ვადის დაუცველობასთან (დაუდევრობის ჩათვლით) ან სერვისის გაწევის დაგვიანებასთან დაკავშირებით (კონტეინერების, ტვირთის ან საკონტეინერო გემის ჩათვლით), მიუხედავად წარმოშობის მიზეზისა.

10.4.2. 10.4.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (without prejudice), თუკი დგება ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობა ზიანზე ან ზარალზე, რაც გამოწვეულია ტერმინალის ოპერატორის მიერ 10.4.1 შეთანხმებული ვადის დაუცველობით, მისი

პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კონტეინერის, ტვირთის ან საკონტეინერო გემის მომსახურებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობას.

## **10.5. გამონაკლისები**

**10.5.1.** ტერმინალის ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი სტანდარტული პირობების მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად საკონტეინერო გემის, კონტეინერის ან ტვირთის დაზიანებაზე ან ზარალზე, თუკი მომხმარებელს არ შეუძლია დაამტკიცოს რომ ზარალის ან დაზიანების უშუალო მიზეზი იყო ტერმინალის ოპერატორი ან ნებისმიერი მხარე, რომელზეც ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია (ტვირთთან ან კონტეინერთან დაკავშირებით), მანამ სანამ დაზიანებული საგანი იმყოფებოდა ტერმინალის ოპერატორის ან ნებისმიერი მხარის, რომელზეც ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია, კონტროლქვეშ. თუკი ზიანს ან ზარალს ხელი შეუწყო მომხმარებლის ან სხვა პირი შეცდომამ ან ქმედებამ, ტერმინალის ოპერატორი უნდა გათავისფლდეს პირობების მე-10 მუხლით გათვალისწინებული და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობისაგან, იმდენად, რამდენადაც ასეთმა შეცდომამ ან ქმედებამ ხელი შეუწყო ზარალს ან დაზიანებას.

**10.5.2.** ტერმინალის ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი საკონტეინერო გემის, კონტეინერის ან ტვირთის ზიანზე და ზარალზე პირობების მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ ტვირთის დამუშავებისათვის არ იყო გამოყენებული ტერმინალის ოპერატორის ტვირთის დასამუშავებელი მოწყობილობები.

**10.5.3.** გარდა პირობების მე-10 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ტერმინალის ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული საკონტეინერო გემის, კონტეინერის ან ტვირთის ზიანსა ან ზარალზე (გამოწვეული დაუდევრობით თუ სხვა რაიმე მიზეზით).

## **10.6. ზოგადი პასუხისმგებლობა**

**10.6.1.** მიუხედავად ამ სტანდარტული პირობების სხვა დებულებებისა, ტერმინალის ოპერატორი არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მოგების, გაყიდვების და ბიზნესის დაკარგვაზე, სახელისა ან რეპუტაციის შელახვაზე, მესამე პირების მოთხოვნებზე (უშუალო ან არაპირდაპირი მოთხოვნები) ან ნებისმიერ არაპირდაპირ ან დაკავშირებულ საჩივრებზე/პრეტენზიებზე, რომელიც გამომდინარეობენ ზარალიდან ან დაზიანებიდან გამოწვეული დანაკარგიდან, მიუხედავად იმისა გამოწვეულია ის სამოქალაქო სამართალდარღვევით - დელიქტით (დაუდევრობის ჩათვლით), გირავნობით, კონტრაქტის დარღვევით, კანონიერი მოვალეობის დარღვევით ან სხვაგვარად ამ სტანდარტული პირობების მიხედვით, შესრულების ხარისხით ან შეუსრულებლობით ან მომსახურების შესრულების ან ამ სტანდარტული პირობებით

გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დაგვიანებით (საკონტენერო გემის ან ტვირთის დაგვიანების ჩათვლით) ან ამ სტანდარტული პირობების საფუძველზე დადებული ხელშეკრულების გაუქმებით.

**10.6.2.** აღნიშნული სტანდარტული პირობები არ გამორიცხავს ან ზღუდავს ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობას ადამიანის გარადაცვალების ან დასახიჩრების შემთხვევაში, რაც გამოწვეულია დაუდევრობით, სხვა ქმედებით ან შეცდომით. აღნიშნული პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება ან შეიზღუდება შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

10.7. სამოქალაქო სამართალდარღვევისას მოთხოვნის წარდგენის პირობები

**10.7.1.** დაცვა, გამონაკლისები და აღნიშნულ სტანდარტულ პირობებში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შეზღუდვები მოქმედებს ტერმინალის ოპერატორის წინააღმდეგ წარდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის მიმართ, რომელიც ეხება სამოქალაქო სამართალდარღვევას, დელიქტს გირავნობას, ხელშეკრულებას, გამოხატული ან ნაგულისხმევი გარანტიების ან სხვ. დარღვევას.

**10.8. პრეტენზიების წარდგენა**

**10.8.1.** ნებისმიერი პრეტენზია მომხმარებლის მიერ ტერმინალის ოპერატორის წინააღმდეგ, რომელიც ეხება მომხმარებლისათვის გაწეულ ან გასაწევ მომსახურებას შედგენილი და წარდგენილი უნდა იქნას ტერმინალისათვის წერილობით გონივრულ ვადაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მომხმარებლის ან იმ მომენტიდან, რაც წარმოშობს ტერმინალის ოპერატორის წინააღმდეგ პრეტენზიის წაყენების საფუძველს.

**10.8.2.** მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც არ იქნება წარდგენილი პირობების 10.8.1. პუნქტის შესაბამისად არ იქნება მიღებული და ჩაითვლება განუხილველად.

**10.9. პრეტენზიების წარდგენის დროის შეზღუდვა**

**10.9.1.** მიუხედავად წინამდებარე პირობების 10.8. პუნქტის დებულებებისა ტერმინალის ოპერატორი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, რაც რაიმე სახით დაკავშირებულია მომხმარებლისათვის გაწეულ მომსახურებასთან, ან რომელიც ტერმინალის ოპერატორს უნდა განახორციელებინა, თუკი არ არის წარმოდგენილი საჩივარი, რის შესახებაც წერილობითი შეტყობინება ტერმინალის ოპერატორისათვის არ გაგზავნილა თორმეტი (12) თვის განმავლობაში მომხმარებლის შემთხვევიდან ან იმ გარემოების დადგომიდან, რაც წარმოშობს ტერმინალის ოპერატორის წინააღმდეგ პრეტენზიის წაყენებას საფუძველს.

**10.10. პასუხისმგებლობის გადაჭარბების კომპენსაცია**

**10.10.1.** მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აუნზღაუროს ტერმინალის ოპერატორს დავალიანება, რომელიც დაგროვდა ან ტერმინალის ოპერატორმა, მისმა თანამშრომლებმა, მომსახურე პერსონალმა, აგენტებმა, მზღვეველებმა ან გადამზღვეველებმა მიიღეს მესამე პირის (რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ტვირთის მფლობელს ან ნებისმიერ პირს, საბაჟოს ჩათვლით, ვინც დაინტერესებულია ან შესაძლოა დაინტერესდეს ტვირთით) მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით (აღნიშნულ პირობებში მოხსენიებული როგორც „მესამე მხარის საჩივარი“):

(ა) როცა მესამე მხარის საჩივარი წარმოიშობა ან დაკავშირებულია მომსახურებასთან (მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არა ის ტერმინალის ოპერატორის დაუდევრობას და მისთ.); და

(ბ) იმ მოცულობით, რა მოცულობითაც, მესამე მხარის საჩივარი აჭარბებს ტერმინალის ოპერატორის პასუხისმგებლობის მოცულობას მომხმარებლისადმი, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე სტანდარტული პირობებით.

**10.11.** წინამდებარე სტანდარტული პირობების სხვა დებულებების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (without prejudice), მომხმარებელმა, კონოსამენტში ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს გადაზიდვის კონტრაქტებს და გაცემულია მომხმარებლის მიერ ტვირთის გადატანასთან დაკავშირებით, უნდა გაითვალისწინოს პირობა, რის შედეგადაც ტერმინალის ოპერატორი, წინამდებარე სტანდარტული პირობებით მოქმედებისას, სარგებლობს კონოსამენტის ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტის დებულებებით გათვალისწინებული პრივილეგიებით, იმის პროპორციულად, რაც ეს ამავე დებულებებით გათვალისწინებულია მომხმარებლისათვის და ტერმინალის ოპერატორი და მესამე პირი რომელზეც ტერმინალის ოპერატორი პასუხისმგებელია, ისარგებლებს აღნიშნული პრივილეგიებით.

**10.12.** ტერმინალის ოპერატორი უფლებამოსილებას ანიჭებს მომხმარებელს იმოქმედოს და მომხმარებელი თავის მხირვ თანახმაა იმოქმედოს, როგორც ტერმინალის ოპერატორის ნდობის აღჭურვილი პირმა ან/და აგენტმა შეზღუდული მიზნებით, მხოლოდ ამ პირობების 10.11 პუნქტის შესაბამისად.

## **11. დაზღვევა**

11.1. ტერმინალის ოპერატორი არ არის ვალდებული განახორციელოს კონტეინერის, ტვირთის ან საკონტეინერო გემის ქონებრივი დაზღვევა.

11.2. ტერმინალის ოპერატორი საკუთარი ხარჯებით იძენს და ახორციელებს დაზღვევას:

11.2.1. ნებისმიერი იმ ვალდებულების, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე სტანდარტული პირობებით; და

11.2.2. რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, საჯარო და მესამე პირის ვადლებულების დაზღვევის ჩათვლით.

## 12. ფორს მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ტვირთის, კონტეინერის და საკონტეინერო გემის დაზიანების ან ზარალის, დაგვიანების ან წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით დამგარი პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაგვიანების ან შეუსრულებლობის მიზეზია სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, რთული მეტეოროლოგიური პირობები, შტორმი, ქარიშხალი, ეპიდემია, პანდემია, სახელმწიფო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული კანონი, ბრძანება, წესი ან რეგულაცია, სახელმწიფო ან ეროვნული ორგანოების აქტები, ომი ან საგანგებო მდგომარეობა, აჯანყება, სამოქალაქო მღელვარება, ტერორისტული აქტი, მეკობრეობა, ხანძარი, აფეთქება, სიცხე ან სიცივე (ტვირთის მხურვალეების და ბუნებრივი და ხელოვნური შუქის უნებლიე გავრცელების ჩათვლით), კრიმინალური აქტები, კომპიუტერული ვირუსები, ლოკაოუტი, გაფიცვა და სხვა სამრეწველო დავები (ნებისმიერ შემთხვევაში დაკავშირებულია თუ არა მხარეების მუშახელთან), მუშახელის, მასალების და მომსახურების ნაკლებობა, მომარაგების მიღების დაგვიანება ან მიუღებლობა და სხვა მოვლენები, რომელიც არის მხარეების გონივრული კონტროლის მიღმა.

## 13. კონფიდენციალურობა

13.1. მხარეები თანხმდებიან, რომ არ გაამხელენ ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ბიზნესს, საქმიანობას, კლიენტებს, დამკვეთებს ან მომწოდებლებს ან სხვა მხარეს ან კომპანიების ჯგუფის წევრებს, რომელსაც ეკუთვნის მეორე მხარე, გარდა იმ შემთხვევებისა რაც გათვალისწინებულია სტანდარტული პირობების 13.2. პუნქტში.

13.2. მხარეებს უფლება აქვთ გაანდონ სხვა მხარეს კონფიდენციალური ინფორმაცია:

13.2.1. თანამშრომლებს, პასუხისმგებელ პირებს, აგენტებს, წარმომადგენლებს ან პროფესიულ მრჩევლებს, რომელთაც სჭირდებათ აღნიშნული ინფორმაციის ცოდნა, რათა განახორციელონ წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული მხარის მოვალეობები; და

13.2.2. კანონის, სასამართლოს გადაწყვეტილების ან სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე.

13.3. თუკი რომელიმე მხარე არღვევს ამ პირობების მე-13 მუხლის მოთხოვნებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოიპოვოს სასამართლოს აკრძალვა (უზრუნველყოფის ღონისძიება), რათა თავიდან აიცილოს კონფიდენციალური ინფორმაციის შემდგომი გავრცელება, კანონით მინიჭებულ სხვა უფლებებთან ერთად.



13.4. მხარეებს უფლება არა აქვთ გამოიყენონ მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისა.

#### **14. უფლების გადაცემა და ქვეკონტრაქტი**

14.1. ტერმინალის ოპერატორს შეუძლია გადასცეს წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი ან ყველა ვალდებულება სხვა პირს.

14.2. მომხმარებელს არ შეუძლია გადასცეს, შეცვალოს ან სხვაგვარად გაასხვისოს წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები ან მისი რომელიმე ნაწილი სხვა პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე (ასეთი თანხმობის უსაფუძვლოდ დაყოვნება ან დაგვიანება დაუშვებელია).

14.3. ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული მოვალეობების ნებისმიერი ნაწილი გადასცეს ქვეკონტრაქტორს.

#### **15. ზოგადი დებულებები**

15.1. წინამდებარე სტანდარტული პირობები (მხარეების მიერ ინდივიდუალურად დამატებული დოკუმენტების ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) შეადგენს ერთიან ხელშეკრულებას მხარეებს შორის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და რაც გამორიცხავს ყველა სხვა წარმომადგენლობას ან ზეპირად ან წერილობით გაკეთებულ დათქმებს (დაუდევრად გაკეთებული ამგვარი წარმომადგენლობის ან შეთანხმების ჩათვლით), იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე სტანდარტული პირობები არ გამორიცხავს ან ზღუდავს რომელიმე პასუხისმგებლობას ან უფლებას, რომელიც მხარეებს გააჩნიათ წინასახელშეკრულებო დათქმებთან დაკავშირებით რომლებიც გაკეთდა ან გაიცა მხარეებს შორის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით არსებული ადრინდელი შეთანხმების ან გარიგების მოტყუებით დადების საფუძველზე. თუკი მომხმარებლის დოკუმენტაცია შეიცავს პირობებს, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე სტანდარტული პირობების დამატებას ან ვარიაციას, ყოველი ასეთი დამატება ან სახეცვლილი პირობა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

15.2. მომხმარებელი აცნობიერებს, რომ მის მიმართ არ მოქმედებს წინამდებარე სტანდარტული პირობები, რაიმე სახის წამომადგენლობაზე, გარანტიებზე ან ვალდებულებებზე ან შეთანხმებებზე დაყრდნობით, თუკი ეს წერილობით სრულად არ აისახება წინამდებარე სტანდარტული პირობებში, ან სხვა ზოგადი კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები და პირობები არ გამოირიცხება იმ მოცულობით, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით.

15.3. თუკი წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული დებულებები ჩაითვლება ბათილად, უკანონოდ ან კომპეტენტური

იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ აღუსრულებლად, მაშინ აღნიშნული სტანდარტული პირობები ჩაითვლება შეცვლილად იმ მოცულობით, რაც საჭიროა აღსრულებისათვის და დანარჩენი მისი ნაწილი რჩება ძალაში და სავალდებულოა შესასრულებლად. თუკი სასამართლო უარს იტყვის აღნიშნული სტანდარტული პირობების შესწორებაზე ზემოთმითითებული სახით, არაკანონიერი, ძალადაკარგული ან აღუსრულებადი დებულებები შეწყვეტს მოქმედებას და დებულებების დანარჩენი ნაწილი კვლავ დარჩება ძალაში და აღსრულდება ისე, როგორც სტანდარტული პირობები შესრულდებოდა არაკანონიერი, ძალადაკარგული ან აღუსრულებადი დებულებების ამოღების შემთხვევაში.

- 15.4. სტანდარტული პირობების 15.3. პუნქტში აღწერილი გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარეები აწარმოებენ კეთილსინდისიერ მოილაპარაკებებს რათა ბათილი დებულებები შეიცვალოს მსგავსი ეკონომიკური და კომერციული მნიშვნელობის მქონე დებულებებით.
- 15.5. რომელიმე მხარის მოთხოვნის არარსებობა, რომ მკაცრად შესრულდეს აღნიშნული სტანდარტული პირობების დებულებები ან ერთ-ერთი მხარის მიერ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა ან უფლების გამოუყენებლობა, არ ნიშნავს სტანდარტულ პირობებზე უარის თქმას და არ გამოიწვევს ვალდებულებების შემცირებას.
- 15.6. ხელშეკრულების ნებისმიერი სახის დარღვევის პატიება არ ნიშნავს ხელშეკრულების შემდგომი დარღვევის პატიებას
- 15.7. წინამდებარე სტანდარტული პირობების რომელიმე დებულება უარყოფილად (უმოქმედოდ) არ ჩაითვლება თუკი ის მკაფიოდ და წერილობითი სახით არ არის გამოხატული და მიწოდებული მეორე მხარისათვის ამ პირობების 15.11. პუნქტის თანახმად.
- 15.8. მხარეებისათვის აღნიშნული სტანდარტული პირობებით მინიჭებული უფლება ან საშუალება არ გამორიცხავს სხვა უფლების ან საშუალების არსებობას, გარდა წინამდებარე სტანდარტულ პირობებში მკაფიოდ მითითებული შემთხვევებისა და ყველა ასეთი უფლება და საშუალება განიხილება ერთიან კონტექტში.
- 15.9. წინამდებარე სტანდარტული პირობების ნებისმიერი მოდიფიკაცია, ვარიაცია, ცვლილება ან დამატება უნდა განხორციელდეს წერილობით და უნდა იყოს თითოეული მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი.
- 15.10. წინამდებარე სტანდარტული პირობების თანახმად ტერმინალის ოპერატორი არის დამოუკიდებელი კონტრაქტორი. წინამდებარე სტანდარტული პირობების არც ერთი დებულება არ უნდა იქნას გაგებული ან განმარტებული ისე, რომ მხარეებს შორის არის პარტნიორობა, ასოციაცია ან ერთობლივი საწარმო ან ერთი მხარე არის მეორე მხარის აგენტი ან წარმომადგენელი. არც ერთ მხარე არ წარმოადგენს მეორე მხარის აგენტს ან არ აქვს ერთობლივი საწარმო მეორე მხარესთან ერთად. მოხამრებელს არ აქვს უფლებამოსილება იმოქმედოს ტერმინალის ოპერატორის სახელით და ტერმინალის ოპერატორს არ აქვს უფლებამოსილება იმოქმედოს მომხმარებლის სახელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია ტერმინალის ოპერატორისათვის

წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებისათვის.

- 15.11. შეტყობინებები, რომელიც ითვალისწინებს წინამდებარე სტანდარტული პირობების შესაბამისად შედგენილი შეთანხმების პირობების ცვლილებას ან გაუქმებას, ან საჩივრებთან ან სასამართლო ქმედებებთან დაკავშირებული შეტყობინება, ან რომელთაც შესაძლოა ქონდეთ რაიმენაირი ზეგავლენა წინამდებარე სტანდარტულ პირობებზე შედგენილი უნდა იქნას წერილობით ინგლისურ ენაზე და გადაცემული მეორე მხარის რეგისტრირებულ მისამართზე:
  - 15.11.1. დაზღვეული ფოსტით, ან კურიერის მეშვეობით, და ჩაითვლება მიღებულად: კურიერის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში კურიერის მიმღებ ქვითარზე ხემოწერის თარიღისა და დროის მიხედვით და დაზღვეული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში დილის 9:00 საათზე გაგზავნიდან მეხუთე (მე-5) დღეს; ან
  - 15.11.2. ფაქსით, და ჩაითვლება მიღებულად როდესაც გამგზავნი მიიღებს ერთ ან მეტ გადაცემის ანგარიშს რომელიც მიუთითებს რომ მთლიანი შეტყობინება გაგზავნილია ფაქსის სწორ ნომერზე.
- 15.12. წინამდებარე სტანდარტული პირობები და ნებისმიერი დავა ან სარჩელი რომელიც წარმოიშობა მისგან ან მის რომელიმე საკითხთან დაკავშირებით (არასახელშეკრულებო დავებისა და სარჩელების ჩათვლით) რეგულირდება და განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 15.13. ნებისმიერი სარჩელი ტერმინალის ოპერატორის წინააღმდეგ, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ სტანდარტულ პირობებს ან წარმოიშობა გაწეული მომსახურებიდან, განიხილება მხოლოდ საქართველოს სასამართლოს მიერ, რომლის იურისდიქციასაც მომხმარებელი ემორჩილება უპირობოდ.
- 15.14. ტერმინალის ოპერატორს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი მომხმარებლის წინააღმდეგ საქართველოს სასამართლოში ან სხვა იურისდიქციის სასამართლოში (იმ იურისდიქციების ჩათვლით სადაც მომხმარებელს გააჩნია ბიზნესი ან აქტივები). სამართალწარმოება ტერმინალის ოპერატორის მიერ, ერთ ან მეტ იურისდიქციაში არ უდნა იყოს ხელისშემშლელი სხვა იურისდიქციაში სამართალწარმოებისათვის, მიუხედავად იმისა წარმოადგენენ ისინი კონკურენტ იურისდიქციებს თუ არა.